საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია
მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე
კანტორა ღიაა დილის 8—2 ს.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 244

ხუთშაბათი [illegible] ივლისი 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

განცხადება

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილება ამით აცხადებს, რომ უკანასკნელი ვადა 1922 წ. საბინაო დავთრების შეძენისა არის 15 ივლის. 15 ივლისამდის ვინც არ შეიძენს საბინაო დავთარს, ის იქნება დაჯარიმებული თანახმად აღმასკომის № 4 სავალდებულო დადგენილებისა, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტი“-ს ა/წ. 22 აპრილს № 88-ში.

სამმართველოს განყოფილება.

დადგენილება

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ურთიერთ შორის ანგარიშების მოწესრიგების შესახებ.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამო, ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადო დაწესებულებანი გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე. ამისათვის სწორი ანგარიშების მისაცემად სამეურნეო ორგანოების მოღვაწეობაზე ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროდ სთვლის, ოცი დღის განმავლობაში, დღიდან ამ დადგენილების გამოცხადებისა, მოაწესრიგოს ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებთან საურთიერთო ანგარიშები ამ წლის პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე, აღმასკომის კომუნალურ და საფინანსო განყოფილებათა საშუალებით.

ყოველ გვარი ანგარიშები და პრეტენზიები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რომელთაც არ ექნებათ მოწესრიგებული დანიშნულ ვადაზე ანგარიშები, დატოვებული იქნებიან უყურადღებოთ.

ხოლო ამ წლის პირველ ივნისიდან ტფილისის აღმასკომის ორგანოებმა თავისი მუშაობა უნდა აწარმოვონ დაინტერესებულ მხარეებთან კონტოკორენტიულ ანგარიშების გასწორებით ნაღდ ფულზე და არავითარი ჩარიცხვა გადარიცხვა ორგანოების ანგარიშებისა, თუნდაც ერთ და იგივე დაწესებულებებში, დაშვებული არ იქნება.

ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**
კომუნ. განყოფილების გამგე **ი. წივწივაძე.**
საფინანსო განყოფილების გამგე **თ. ღლონტი.**

ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა

ამ ჟამად საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურადაც ძლიერ განსხვავდება იმ მდგომარეობისაგან, რომელსაც ეს რესპუბლიკები განიცდიდენ ამ ერთიოდე წლის წინად. პოლიტიკურის მხრით, როგორც შიგნით, საბჭოთა რესპუბლიკების შინაურს ცხოვრებაში, ისე საგარეო ურთიერთობის სფეროში, მუშურ-გლეხური ხელისუფლება მტკიცდება და მაგრდება. შიგნით ჩვენ განვლეთ გაუგებრობისა და საბოტაჟის პერიოდი, ფართო მასა ჩაება საბჭოთა მშენებლობის პროცესში და ამ ჟამად მაგრდება სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი აპარატი. საგარეო პოლიტიკაშიაც საბჭოთა რესპუბლიკებმა შესძლეს საპატიო ადგილის დაჭერა. შეიძლება ითქვას, რომ გენუას კონფერენციასა და რაპოლის ხელშეკრულების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკების გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაში გაძლიერდა და ისინიც ერთ დიდ ცენტრალურ ძალად შეიქმნენ მსოფლიო ურთიერთობის სფეროში.

ეს არის დასკვნა, რეზულტატი ხუთი წლის მედგარი და შეუპოვარი ბრძოლისა, რომელმაც მრავალი მსხვერპლი და დიდ ძალი ეკონომიური რესურსები შეიწირა. მაგრამ თავდადებულმა ბრძოლამ და მიზანშეწონილმა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო და დღეს შესაძლ. ხდება მუშურ-გლეხური რესპუბლიკებიც შევიდნენ თანასწორ წევრებად კაპიტალისტურ ქვეყნებთან ერთად საერთაშორისო ოჯახში. თანამედროვე პირობებში ეს იქნება უდიდესი გამარჯვება და რევოლიუციონური ძალების მტკიცე ნიადაგზე გამაგრება.

მაგრამ, თუ პოლიტიკურს ფრონტზედ საბჭოთა რესპუბლიკებმა ასეთს დიდს გამარჯვებას მიაღწიეს, სამაგიეროთ მას არც ეკონომიური ფრონტი ჩამორჩა და აქაც დიდსა და მიზანშეწონილს მუშაობას აქვს ადგილი. სამხედრო ფრონტების მოსპობამ და შინაური და გარეშე კონტრ-რევოლიუციონური ძალების განადგურებამ, ჩვენს რესპუბლიკებს მისცა საშვალება მთელი ენერგია შინაური აღმშენებლობით მუშაობისათვის მოეხმარა და ფართო გეგმებით გამოსულიყვნენ სამეურნეო ფრონტზედ. მართალია ამ დარგში დიდს გაუმჯობესობასთან არ გვაქვს საქმე, არ მომხდარა ეკონომიური ცხოვრების აღორძინება და დარღვეული სამეურნეო ორგანიზმის გამომთელება. მიუხედავად ამისა საკმაოდ მოზრდილი ნაბიჯები არის გადადგმული ამ მიმართულებით და შეიძლება ითქვას აღორძინების ტენდენციები საკმაო სახეებით მოსჩანს, 1920 წლის შუა რიცხვებამდე საბჭოთა რუსეთის ეკონომიური ცხოვრება შეუჩერებლივ მიექანებოდა განადგურებისაკენ და მეურნეობას მოელოდა სრული დაღუპვა და სიკვდილი. ეს იყო გამოწვეული სამხედრო მდგომარეობის მიერ. მაგრამ ამ მხრიდან მდგომარეობა რამოდენიმედ შეიცვალა და სამეურნეო ცენტრები და პერიფერიები შეიარაღებული ბრძოლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში გადავიდა და ამ გარემოებამ ხელი შეუწყო რუსეთის ეკონომიკის განადგურებისაგან გადარჩენას. ამ დღიდან იწყება სამეურნეო ცხოვრების აღორძინებისაკენ მსვლელობა და ამის შესახებ მეტად ფართო ხასიათის გეგმებით სწარმოებს რუსეთის ეკონომიური მუშაობა. ასეთს მდგომარეობის შექმნას აგრეთვე ხელი შეუწყო საერთაშორისო პირობებმა და საგარეო ვაჭრობის განვითარებამ.

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ჩვენშიაც. ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა რესპუბლიკის ორბიტაში არის მოქცეული და ისიც სხვა რესპუბლიკების ბედს იზიარებს საერთოდ. მაგრამ ჩვენ არ გაგვივლია დიდი სამოქალაქო ომები და ჩვენი მეურნეობა ისეთის საშინელებით არ განიცდიდა გამანადგურებელს პროცესებს. სამაგიეროდ, ჩვენ ღარიბი ვართ ჩვენი საწარმოო ძალებითა და ტეხნიკით, ეს კი თავის დაღს ასვამს ჩვენს მეურნეობას და ძლიერ აძნელებს მისი წარმოების საქმეს.

საქართველომ შარშანდელი მოუსავლობისა და ბუნების ქინიანობის გამო საკმაოდ მოზრდილი შიმშილობა გამოსცადა. ეს გარემოება დიდ საფრთხეს უმზადებდა ჩვენს ხალხს; გაძლიერებული სიმშილობა საშვალებას გვართმევდა ფართო სამეურნეო შემოქმედებისათვის და ხალხს ფიზიკური გადაშენება მოელოდა. სოფლის მშრომელ ხალხს არ ჰქონდა საშუალება და რესურსები თავისი საკუთარი ძალღონით გამოსულიყო ამ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად და ქრონიკული შიმშილობის წინაშე ვიდექით მრავალი წლის განმავლობაში. ამ მოვლენის წინააღმდეგ სისტემატიური და გეგმაშეწონილი ბრძოლა იყო საჭირო. ერთის მხრით საჭირო იყო ხალხისათვის სარჩო-საბადებლის მიწოდება და მათი ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენა. მეორეს მხრივ კი—სათესი მასალის მოწოდება და მთელი გამოსაყენებელი მიწის რეზერვის დამუშავება. 1921 წლის შიმშილია გამოწვეული იყო არა მარტო ბუნების ქინიანობის მიზეზით, არამედ დიდი ნაწილი დასათესი მიწებისა დაუმუშავებელი დარჩა სხვა და სხვა მიზეზებს გამო და ამანაც გამოიწვია მოსავლის შემცირება მთელს საქართველოში.

როგორც გამოქვეყნებული სტატისტიკური კანონებიდან ირკვევა ორივე ამ მიმართულებით სწარმოებდა მუშაობა ჩვენი ხელისუფლების მხრიდან. დამშეულ მაზრებსა და რაიონებს დაურიგდათ როგორც საკვები, ისე დასათესი მასალა. სივრცე დათესილი მიწებისა საკმაოდ გაიზარდა 1921 წელთან შედარებით, ასე რომ ამ მიმართულებით არ ყოფილა დაზოგვილი ენერგია და ამ დიდმა მუშაობამ უნდა მოგვცეს თავისი ნაყოფი. დაშინებული ხალხიც მხურვალედ ჩაება თესვის კამპანიაში და ამ გვარად ხელისუფლება და მშრომელი მასა შეერთებულად ებრძოდნენ კარზე მომდგარ უბედურებას.

მეორეს მხრით, თვით ბუნებამ თავი დაანება სიჯიუტეს და ხელი შეუწყო მოსავლის ნაყოფიერებას. ყველა ამ გარემოებამ თავისი დაღი დააჩნია თესვის კამპანიის ჩატარებას. როგორც უკანასკნელი თესვის კომიტეტების სხდომების სტატისტიკური მმართველობის ცნობებიდან ირკვევა, წელს ყველგან კარგი მოსავალი არის შედარებით წარსულ წელთან და ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სიმშილობის საშინელი აჩრდილი განდევნილი არის საქართველოდან და ასეთი ტემპით მუშაობის გაჩაღება საკმაოდ გამოასწორებს ჩვენს მეურნეობას.

მეორეს მხრით ჩვენი ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას ხელი შეუწყო საგარეო ვაჭრობის გაფართოვებამ და ჩვენი იმპორტისა და ექსპორტის გაზრდამ. ჩვენმა მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ საქართველოს ბაზარზე უზღვავი საზღვარგარეთის საქონელი მოვიდა, განსაკუთრებით პურეულობა. ამან კი გამოიწვია ბაზრების გავსება საქონლით, რამაც დასცა საქონელზე ფასები და ეს პროცესი დღესაც შეუჩერებლივ ვითარდება; ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობამ და უცხო ბაზრებთან ურთიერთობამ წინ წასწია ამ რამდენიმე თვის განმავლობაში. საგარეო ბაზრებთან ურთიერთობა საქართველოს გზებითა და ნავთსადგურებით ხდება უმთავრესად, რაც მაღლა სწევს ჩვენს ეკონომიურს წონას.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის შესახებ დაახლოვებით წარმოდგენა შეიძლება შევიტყოთ იმ ცნობებიდან, რომელსაც აქვეყნებს საგარეო ვაჭრობის კომისარიატი აპრილში. ამიერ-კავკასიიდან გატანილი იყო—1.143,511 ფ. საქონელი, მაისში—1,295,641, შემოტანილი იყო აპრილში—1,360,865 ფ. მაისში—1,911,828 ფ. როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის საქმეში ჩვენ წინ წავიწიეთ გასულ თვეში. გატანილი იყო უმთავრესად თამბაქო, მარგანეცი, ნავთი, ზეთი და სხვ.; შემოტანილია უმთავრესად პურეულობა, მაისის თვეში 1,338 165 ფუთი საერთო იმპორტიდან.

საგარეო ვაჭრობის ასეთმა გაცხოველებამ გამოიწვია ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გამოცხადება და დღეს აღარ განვიცდით იმ მდგომარეობას ამ ექვსი თვის წინად რომ ვიყავით.

ჩვენში საქონელზე ფასების ზრდა შეჩერდა და ზოგან კი დაცემისაკენ მიექანება. როგორც წინადაც ვწერდით, იანვრიდან ივნისის დამლევამდე საქონელზე ფასები გაძვირდა ტფილისში მხოლოდ ერთნახევარჯერ, ათ მანეთიან ოქროზე კი დაეცა ერთი მეოთხედით. ბაქოში ამავე ხნის განმავლობაში—საქონელზე შვიდჯერ, ათ მანეთიან ოქროზე 6 ნახ. ჯერ. ერევანში პირველზე—22 ნახ. ჯერ, მეორეზე 17 ნახ. ჯერ. მოსკოვშიაც ფასები ასეთსავე ცვალებადობას განიცდის.

ეს ციფრები აშკარავებენ ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობას. ეკონომიურად ჩვენ რამდენიმეთ მოვღონიერდით წარსულ წელთან შედარებით. ეს განსაკუთრებით მჟღავნდება ჩვენი ფულის კურსის სტაბილიზაციაში. ეკონომიური პირობების გამოსწორებამ ხელი შეუწყო ფულის კურსის გამაგრებას. უცხო ვალიუტა დღეს ჩვენს ბაზარზე ეცემა რამდენიმედ, ჩვენი ბონები კი კვლავ თავიანთ სიმაღლეზე სდგანან. ასე თუ ისე ამ პროცესში ფინანსიურ სისტემასაც ქონდა თავისი ადგილი.

ასეთია საერთოდ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა.

ს. დევიანი.

პრესა

ამიერ-კავკასიის რკინის-გზები.

ერთი წლის წინად მოხდა ამიერ კავკასიის რკინის გზების გაერთიანება.

ჩვენ მაშინვე უარყოფითად შევხვდით ამ მოვლენას. სარკინისგზო პოლიტიკის და მეურნეობაში შეთანხმება, რაც ჩვენაც საჭიროდ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, სრულიად არ მოითხოვდა ამ გზების ორგანიზაციულ გაერთიანებას. ეს ჩვენ მიგვაჩნდა ეკონომიური თვალსაზრისით ფრიად საზარალოდ საქართველოსათვის და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით კი ყოვლად დაუშვებლად ვამტკიცებდით, რომ არ შეიძლება სახელმწიფოს რკინის გზა ქონდეს და მისი პატრონი თვითონ არ იყოს, მაგრამ რაღაც მაღალი მოსაზრებით გაერთიანება მაინც გაატარეს და ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის რკინის გზებს განაგებდენ რუსეთიდან. ვითომდა უამისოდ არ შეიძლებოდა რუსეთის რკინის გზებთან შეთანხმება! იქიდან ნიშნავდენ მთავარ მოხელეებს, აძლევდენ საერთო დირექტივებს და აწესებდენ ტარიფებს. ამან დიდი არევ-დარევა გამოიწვია და ეხლაც იწვევს. მაგ. ტარიფების დაწესების დროს მხედველობაში არ იქნა მიღებული ფულის ნიშნების სხვა და სხვაობა აქ და რუსეთში. აქ კი შედარებით გაცილებით მეტი სიაფე იყო საერთოდ და რკინის გზის ტარიფის ასე უზომოდ აწევამ დიდად შეაფერხა საქონლის მოძრაობა, რაც შემდეგ რამოდენიმეჯერ იქნა ნაწილობრივ გამოსწორებული, მაგრამ სავსებით ჯერაც არ არის მოწესრიგებული ეს საქმე და არც მოწესრიგდება ასეთ პირობებში.

ერთი წლის გამოცდილებამ სავსებით ცხად ჰყო აშკარა გაერთიანების უვარგისობა, რასაც აღნიშნავს „Заря Востока“ № 18 მოწინავეში.

„ურთიერთ დახმარებამ, ერთი მართველობის ქვეშ განსაზღვრულებამ რემონტის საშუალებათა და ყველა გზების მოძრავ შემადგენლობათა თანასწორმა მონაწილეობამ გააჯანსაღა მთავარი ნერვი სამივე რესპუბლიკის სამეურნეო აღორძინებისა და განვითარების.

ამის უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ არც იმისი უარყოფა შეიძლება, რომ გაერთიანებულ რკინის გზათა ერთი წლის პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ბევრ ნაკლსა და მინუსებს არა მარტო ობიექტიური ხასიათისა და აუცილებელს, არამედ სუბიექტიურსაც, რომლის აცილება შესაძლო იყო. მთავარი მამოძრავებელი ძარღვი მეურნეობისა ამავე დროს არის ყველაზე უფრო მგრძნობიარე ძარღვიც. წვრილმანობამდის საერთო ხელმძღვანელობა ცირკულ. შორეული ცენტრიდან მუდამ ვერ იძლევა რკინის გზებისათვის იმ სასარგებლო შედეგს, რომელსაც იძლევა ცენტრალიზაცია მეურნეობის სხვა დარგებისა. ადგილობრივ მოთხოვნილებებს, თავისებურ პირობებს თითო მოკავშირე რესპუბლიკისას სასტიკად უნდა გაეწიოს ანგარიში. დეცენტრალიზაცია ორგანიულად უნდა გამომდინარეობდეს ცენტრალიზაციიდან—მხოლოდ ასეთ პირობებში რკინის გზები, ეს მთავარი ბერკეტი ეკონომიურ განვითარებისა, იმუშავებს მაქსიმალური ნორმალობით და ემსახურება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სისხლნაკლებ მეურნეობის აღორძინებას. დღემდის ყველაფერი რიგზედ არ იყო ამ მხრით. ახალი ტარიფებისა და ფრახტის დეპეშით დანიშვნა ძლიერ აფერხებდა ჩვენი მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის ძირითად დარგებს. ეხლა დროა ახლოს მივუდგეთ რკ. გზის მეურნეობას და ისე, რომ არ გაგვიტაცოს სეპარატიზმმა, დამღუპველმა მთელი მხარისა და კერძოდ ყოველი რესპუბლიკისათვის, ნათლად გავარკვიოთ უფლება და მოვალეობა როგორც ცენტრის, ისე ადგილების. ცენტრს დარჩება საერთო ხელმძღვანელობა, გეზის მიცემა შეთანხმება და კონტროლი. ამავე დროს კი ამიერ კავ. რკ. გზებს ჰყავთ ერთი პატრონი ფედერალური მთავრობის სახით. რესპუბლიკების მთავრობები თავიანთ ეკონომიურ ორგანიზაციების საშუალებით ახლოს უნდა მოუდგენ რკ. გზებს და უნდა ჰქონდეთ მათდამი არა მარტო მოვალეობა, არამედ შესაფერი უფლებანიც.

ასეთი მდგომარეობის დროს, როცა ყველა რესპუბლიკები დაინტერესებული იქნება რკ. გზების ნორმალურ მუშაობაში და მათ შეუწყვეტლივ განვითარებაში, ამიერ კავკ. რკ. გზები გამაგრდება და სულ მოკლე დროში გადაიქცევა ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ერთიანი სამეურნეო ორგანიზმის მკვებავ საღ არტერიად.

რომელი საორგანიზაციო ფორმაა ამისათვის უფრო შესაფერი?

ამიერ კავკასიის რკ. გზების დამოუკიდებელი ოლქის შექმნა იქნებოდა ერთი ზედმეტი ღობის (перегородка) გაჩენა, რაც ჩვენს ეხლანდელ პირობებში სრულიად არაა საჭირო. ერთი მართველობის ხელმძღვანელობით ჩვენი რკ. გზები საჭიროებენ დაკვირვებით შესწავლას ადგილობრივ პირობებისა და თავის სამეურნეო ბაზისის გამაგრებას.

ამ დანიშნულებას შეასრულებს განსაკუთრებული ორგანო — მართველობა, რომელიც შედგენილ იქნება ადგილობრივ მომუშავე პირთაგან. მათ გამოყავს რესპუბლიკების სამეურნეო ორგანიზაციები. ეს მართველობა ვალდებული იქნება გადასწყვიტოს ყველა ის საკითხები, რომელიც ეხებიან ჩვენ რკინ. გზებს და აგრეთვე ადგილობრივ მრეწველობის საჭიროებას. ასეთი მართველობა განტვირთავს ხსენებულ მართველობას იმ ტვირთისაგან, რომელიც დღემდის უშლის მას სავსებით ემსახუროს პირდაპირ თავის დანიშნულებას. გზების უფროსსა და ნაციონალურ რესპუბლიკებს შორის ცოცხალი კავშირი რწმუნებულების საშუალებით, მოსპობს ყველა დაბრკოლებას, დღემდის რომ არსებობდა.

შემდეგში მივიღებთ გაჯანმრთელებას და სიმაგრეს სარკინისგზო მეურნეობისა, რომელიც შეიძლება იყოს და უნდა იყოს საიმედო დასაყრდენი საბჭოთა ძალაუფლებისა, მაგრამ ვინც მისი გამოყენება არ იცის, შეიძლება გადააქციოს კონტრ-რევოლიუციის მკვებავ „წყაროთა“.

სრული ჭეშმარიტებაა, და დღემდის ამიერ-კავკასიის რკინის გზების ადმინისტრაცია გაძლიერებით კვებავდა კონტრ-რევოლიუციას. მაგრამ ამაზედ შემდეგ გვექნება ლაპარაკი. ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერც ასეთი რეორგანიზაცია გამოასწორებს საქმეს.

საჭირო და აუცილებელია, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია იყოს სრული ბატონ-პატრონი თავისი რკინის გზებისა. აუცილებელია აგრეთვე რუსეთის რკინის გზებთან შეთანხმება და მჭიდრო კონტაქტი, რაც შეიძლება დამყარდეს კონვენციის გზით და არა იქაური რომელიმე ცენტრისადმი ჩვენი გზების დაქვემდებარებით.

ჰააგის თათბირი

კრედიტების კომისიაში.

ბორდო. 11 ივლისი, სამშაბათს, საფრანგეთის წარმომადგენლის შეკითხვაზე კრედიტების კომისიაში, საბჭოთა დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი მოითხოვენ კრედიტების საბჭოთა მთავრობისათვის და ვიწრო პირებისათვის მიცემას.

კერძო საკუთრების კომისიაში.

ბორდო. 11 ივლისი. ორშაბათს გაიმართა კერძო საკუთრების კომისიის სხდომა.

გერმანიის ამბები

გარდენზე თავდასხმის შესახებ,

მოსკოვი. 11 ივლისი. დაპატიმრებულია მაქსიმილიან გარდენზე თავდასხმის მომწყობი, წიგნების გამომცემელი ოლდენბურგი.

გერმანიის კაბინეტის კონსტრუქცია.

მოსკოვი. 11 ივლისი. გერმანიის კოალიციონური პარტიების 8 ივლისის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი კაბინეტის რეფორმის შესახებ. ცენტრის დემოკრატები სცდილობდენ თავიანთ გამოსვლებში ეხმარათ სიტყვა „რესპუბლიკა".

კანონ-პროექტი თავდაცვის შესახებ.

ნაუენი. 11 ივლისი. სახალხო პარტიის კომისიამ მოიწონა რეიხსტაგის მიერ დაკავებული პოზიცია რესპუბლიკის თავდაცვის კანონ-პროექტის მიმართ. სოციალისტურ გაზეთებს ეს კანონ პროექტი მაინც არ მიაჩნიათ დამაკმაყოფილებლად. გაზ. „ფორვერტსი" მოითხოვს რეიხსტაგის დათხოვნას.

მემარჯვენეები უკმაყოფილონი არიან.

ნაუენი. 11 ივლისი. გაზ. „კელნიშე ცეიტუნგი" მიაქცევს ყურადღებას ახალი რევოლიუციის საფრთხის არსებობის სინამდვილეს და მოუწოდებს საშუალო კლასებს ებრძოლონ სოციალისტების ტერორს როგორც ქუჩაზე, ისე რეიხსტაგში და აგრეთვე იომონ თავისი საკუთარი არსებობის დასაცავად, რათა თავიდან აიცილონ სოციალისტური ქაოსის ჯურღმულში გადაჩეხა.

კანონ-პროექტი ამნისტიის შესახებ.

ნაუენი. 11 ივლისი. კვლავ რიგში დაისვა კანონ-პროექტი ამნისტიის შესახებ. ბურჟუაზიული პარტიები უარს ამბობენ სოციალისტების მოთხოვნილებათა მიღებაზე, რომელიც გამოიხატება ამნისტიის მოხელეებზე და იმ პირებზე გავრცელებაში, რომელნიც ეწეოდენ აგიტაცია-პროპაგანდას რკინის-გზელთა უკანასკნელი გაფიცვის დროს.

გაფიცვის შესაძლებლობა.

ნაუენი. 11 ივლისი. შრომის მინისტრი იწყებს ესენში მაღაროს მუშებთან მოლაპარაკებას იმ გაფიცვის გამო რომელიც გამოცხადებულია 6 აგვისტოსათვის.

გერმანია და საფრანგეთი.

ნაუენი. 11 ივლისი. პარიზის გაზ. „ექსცელსიორის" კორესპონდენტთან ბაასში, კანცლერ ვირტმა აღნიშნა, რომ გერმანიისათვის დადგა გადამწყვეტი წუთები, მან დაადასტურა ის, რომ გერმანიის მთავრობა ემზადებოდა შეთანხმებოდა საფრანგეთს იმ პირობებზე, რომელიც შეიმუშავეს ამერიკელ ბანკირებმა სესხის უზრუნველსაყოფად. მაგრამ პუანკარე არ ინდო ამ გეგმას, თუმცა საფრანგეთის ხალხის უმრავლესობას სურს შეუთანხმდეს გერმანიას, როგორც ეს თვითონ გერმანიასაც უნდა. ვირტმა გამოსთქვა სურვილი იმისა, რომ ანტანტამ ბოლოს და ბოლოს უნდა გაიგოს, თუ კი იგი არ დაეხმარება გერმანიის მთავრობას, ისე გერმანიას განადგურება მოელის.

გერმანიის ამბების გამო.

ნაუენი. 11 ივლისი. კოპენჰაგენის გაზეთი „ექსტრა-ბლადეტი" აღნიშნავს, რომ იმ საშიშ მდგომარეობის მიზეზი, რომელიც დღეს არსებობს გერმანიაში არის ფატალური გერმანიისათვის საზავო ხელშეკრულება, რომლის მიზანია საბოლოოდ დაამარცხოს დამარცხებული ქვეყნები და რომელიც უსირცხვილოდ არღვევს ყველა ძველ დაპირებებს.

რატენაუს მოკვლის გამო.

ბორდო 10 ივლისი. კვლევა-ძიებამ დაადასტურა ინჟინერ კაურიცის მონაწილეობა რატენაუს მკვლელობაში.

უცხოეთი

გერმანია

ამერიკის ჩარევა

ნაუენი, 11 ივლისი. ბრიტანეთის კაბინეტმა სთხოვა ამერიკის ელჩს ლონდონში გარვეის, წარადგინოს ვაშინგტონში მოხსენება გერმანიის ფინანსიური კრიზისის გამო, ამერიკის ამ საქმეებში ჩარევის აუცილებლობის შესახებ.

კაპიტალიზმის მარცხი

ნაუენი, 11 ივლისი. გაზეთ „იუმანიტეს" აზრით, საკონტრიბუციო პოლიტიკის მარცხი არის იმავე დროს ევროპის კაპიტალიზმის მარცხი.

სოციალური რევოლიუცია

ნაუენი, 11 ივლისი. გაზეთ „ვიქტუარის" აზრით, თუ მარკის კურსის დაცემა არ შეჩერდა, გერმანია ვერ ასცდება სოციალურ რევოლიუციას.

შეინძრნენ

ბორდო, რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ მემარცხენეების წინადადებით მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც ტრიბუნალის შემადგენლობაში, ტრიბუნალის შვიდ წევრთაგან, მხოლოდ ორი იქნება პროფესიონალური მსაჯული.

ორპირობა

ბორდო, 11 ივლ. პროფკავშირთა საერთაშორისო ბიურომ, დაადგინა გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად რეაქციის წინააღმდეგ გამოუშვას მოწოდება ყველა ქვეყნის მუშური ორგანიზაციების მიმართ და 18 ივლისს ამსტერდამში მოიწვიოს მეორე და ორ-ნახევარ ინტერნაციონალების კონფერენცია.

ზემო-სილეზიაში

ოპელნის ევაკუაცია

ბორდო, 11 ივლისი. ოპელნიდან გავიდა მოკავშირეთა უკანასკნელი ბატალიონები.

საფრანგეთი

ნაუენი, 11 ივლისი. სამშაბათს გენერალ ლერონმა დასტოვა ოპელნი. პოლონეთის ჯარები შევიდა ქალაქში ორშაბათს დილით. ბევრი რუსი კომუნისტი აცხადებს, რომ ზემო-სილეზიისათვის ეს ჩამოჭრილი ოლქი მაინც გერმანიის მხარეზე იქნება.

სიფილისის წამლობა

ბორდო, 11 ივლისი. დერმატოლოგების და სიფილიდოლოგების კონგრესზე პარიზში დამტკიცდა, რომ ბისმუტის მარილები სიფილისის წამლობის დროს იძლევა ჩინებულ შედეგებს.

საფრანგეთ-პოლონეთის კომერციული ხელშეკრულება

პარიზი. გაზეთ „ტანში" მოყვანილია ვარშავიდან მიღებული ცნობები: ფ. დოლეჟალი, მრჩეველი პოლონეთის კომერციულ დელეგაციისა პარიზში, ჩავიდა საფრანგეთის სატახტო ქალაქში საფრანგეთისა და პოლონეთის შორის კომერციულ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ მოსალაპარაკებლად.

პოლონეთმა უკვე დადო ეკონომიური ხელშეკრულება რუმინიასთან, ჩეხოსლოვაკიასთან, იტალიასთან და ნორვეგიასთან. გარდა ამისა პოლონეთი აწარმოებს მოლაპარაკებას ასეთივე ხელშეკრულების დადების შესახებ იაპონიასთან, შვეიცარიასთან, ინგლისთან, შვეციასთან, ავსტრია თან, სამხრეთ-სლავიასთან, ჰუნგრეთთან, ისპანიასთან, პორტუგალიასთან და შეერთებულ შტატებთან.

პოლონეთის ეკონომიური ურთიერთობა გერმანიასთან უთუოდ დაიწყება შემოდგომიდან.

დახმარება რუსეთს

პარიზი, 28 ივნისი გაზ. „ჟურნალ დ'ორიანი" იტყობინება, რომ ივლისის პირველ რიცხვებში რუსეთში უნდა გამგზავრებულიყო საფრანგეთის წითელი ჯვრის მისია გემით „კალიფორნიით", რომელიც დატვირთულია 9000 ტონი სხვა და სხვა სურსათით.

რადიო დედა-მიწის გარშემო

ნიუ-იორკი, 26 მაისი. გაზ. „ჟურნალ დ'ორიანის" ცნობით, მარკონიმ გაუზიარა ჟურნალისტებს თვისი გამოკვლევების შედეგი, რომელიც მან მოახდინა სოუგემპტონიდან ნიუ-იორკში მოგზაურობის დროს, მარკონი ამტკიცებს, რომ ამიერიდან შეიძლება გადაცემულ იქნეს რადიო დედა-მიწის გარშემო, მაშინ, როდესაც იგი აქამდის გადაიცემოდა მხოლოდ 12000 მილის მანძილზე. მარკონის გამოანგარიშებით ასეთი რადიოს გადასაცემათ საჭირო იქნება დიდი ხარჯები.

ანტიკომუნისტური კანონი ჩინეთში

ბერლინი გაზ. „ბერლინერ ცეიტუნგი" იტყობინება, რომ პეკინის მთავრობამ გამოსცა კანონი, რომელიც მიმართულია ჩინეთის კომუნისტური იდეების წინააღმდეგ.

ამ კანონის თანახმად, ის პირები, რომელნიც გაავრცელებენ მონარქისტულ და კომუნისტურ იდეებს არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ დაისჯებიან დაპატიმრებით 5—10 წლამდე. ასეთი იდეების ცხოვრებაში გატარებისათვის და პარტიულ ორგანიზაციების შექმნისათვის დამნაშავე დაისჯება 15 წლის დაპატიმრებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კანონის უკანასკნელ მუხლს, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ეს კანონი ვრცელდება უცხოეთის ქვეშევრდომებზედაც.

აღმოსავლეთში

საბერძნეთი-

ბორდო. 11 ივლისი. ათინაში გაიმართა მეფის თავმჯდომარეობით სამხედრო საბჭოს სხდომა. იტყობინებიან, რომ გამოცხადებული იქნება საბერძნეთში სამხედრო მდგომარეობა და მოხდენილი იქნება მობილიზაცია კონსტანტინოპოლის საწინააღმდეგო ოპერაციის დასამთავრებლად.

ანტანტა და აღმოსავლეთი.

ბორდო. 11 ივლისი. გაზ. „ტანის" ცნობით, ბრიტანეთის მთავრობა მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ახლოაღმოსავლეთში ზავის ჩამოსაგდებად. ამ რიგად შესაძლებელია ამ მოკლე მომავალში საზავო კონფერენციის მოწვევა. ამ კონფერენციაზე მოკავშირე სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები შეხვდებიან ოსმალეთისა და საბერძნეთის დელეგატებს, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობის ზოგიერთი შენიშვნები აბრკოლებს საქმეს და განხილვის საგანი არის.

ნატანებ-ოზურგეთის შორის რკინის გზის გაყვანის მუშაობის გეგმა

ქვემოდ მოყვანილ მუშაობის გეგმის შესრულების აუცილებელ პირობას, თავის თავად ცხადია, წარმოადგენს გამოანგარიშებულ თანხების თავის დროზე გაღება, თანახმად აქვე მოყვანილ ანგარიშებისა, სახელდობრ:

25 ივნისისათვის	10.000	მ. ოქროთი.
1 ივლისისათვის	89.350	„ „
1 აგვისტოსათვის	44 648	„ „
1 სექტემბრისათ.	19.000	„ „
1 ოქტომბრისათ.	17.540	„ „
1 ნოემბრისათვის	25.000	„ „
1 დეკემბრისათ.	16.600	„ „
1 იანვრისათვის	21.500	„ „
სულ	244 388	მ. ოქროთი.

ვინაიდან პატარა არის თვით გასაყვანი შტო რკინის გზისა და რადგან განზრახულია მისი დამთავრება მხოლოდ ზამთრისათვის, 1923 წლის 1 იანვრისათვის, პატარა დაყოვნებასაც კი ფულის გაღების საქმეში, შეუძლია ჩაშალოს მთელი გეგმა განზრახული მუშაობისა და ზამთრის თვეების გამო, შესაძლებელია, ამ შტოს გაყვანის დამთავრება გადასდოს რამდენიმე თვით მაინც. ამასთან ერთად გადიდდება თვით მუშაობის ღირებულებაც, უმთავრესად კი იმის გამო, რომ აუცილებელი გახდება დიდი ხნით შევინახოთ [illegible] ტეხნიკური პერსონალი, რომელიც ამ ჟამად აწარმოებს ამ მუშაობას.

თუ თავის დროზე იქნება გაღებული განზრახული თანხები, შესაძლებელი გახდება დავსახოთ ქვემოთ მოყვანილი გეგმა მუშაობისა:

1922 წლის 1 ივლისიდან უნდა შეუდგეთ ამ გზის გაყვანის საბოლოო გამოკვლევას, მიწის მუშაობისათვის საჭირო თანხების გამოწერის შედგენას, ყველა ხელოვნურ სიმაგრეთა პროექტების გამორკვევას; ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს ერთი თვის განმავლობაში, ე. ი 1 აგვისტოსათვის.

მიწის მუშაობისათვის საჭირო იარაღებისა და მასალის (კირკა, ლაფათქები და სხვ.) აგრეთვე ხელოვნურ სიმაგრეთა ხელსაწყობის (ცემენტი, ქვა, სილა, ხრეში, რკინა რკინისა და ბეტონის სიმაგრეთათვის, ხე-ტყის მასალა ფარდულებისათვის, სიმარენი ხრამებისათვის, ფორმები ბეტონის მუშაობისათვის, ინსტრუმენტები და სხვ.) დამზადების დაწყებას. ყველა ინსტრუმენტებისა და მასალების დამზადება, რომელნიც უნდა მოიტანონ ნატანებში, უნდა დამთავრდეს ერთი თვის განმავლობაში, ე. ი. 1 აგვისტოსათვის.

შეუკვეთოთ ყველა ქვაფენილისა და გაყვანის ძელები და აგრეთვე ფიცრები ხიდებზე დასაფენად, რომელნიც მოტანილ უნდა იქნეს თავის ადგილზე 1 სექტემბრის ვადამდე.

გავაძლიეროთ 25.540 ცალი შპალის დამზადება იმ გვარად, რომ შპალების 50 პროცენტი დამზადებულ და ჩამოტანილ იქნეს სადგურ ნატანებში არა უგვიანეს პირველი სექტემბრისა, ხოლო დანარჩენი 50 პროცენტი კი არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა.

შეუკვეთოთ რელსების ჭანჭიკი ლიანდაგის დასაფენად, რიცხვით 450 ფუთი იმ პირობით, რომ იგი იქნეს ჩამოტანილი დანიშნულებისამებრ არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

შეუკვეთოთ 330 სატელეფონო სვეტი, რომლის ჩამოტანის ვადათ დანიშნული იქნება 15 აგვისტო. შეუკვეთოთ ტელეფონისა და ტელეგრაფისათვის საჭირო ყველა აუცილებელი მასალა, რომელნიც იმავე ვადაზე უნდა იქნეს ჩამოტანილი დანიშნულ ადგილას.

შეუკვეთოთ სამოქალაქო შენობათათვის საჭირო ყველა მასალა (თუ მათი აშენება იჯარით არ იქნება გაცემული).

დაჩქარებით შევიძინოთ წყლის გადაყვანის მუშაობისათვის 4 ლოკომობილი, ანდა მატორი დგუშებით, 5 დიდი ცენტრა მსრობლელი ტუმბო (Насос)—8—5 აუცილებლად „შლაგებით" და 5 ტუმბო ლექესტიური შლაგებით. ეს აღნიშნული ხელსაწყო იარაღები

ისტორიისაგან უარყოფილნი

> „საქართველოს ნაციონალური ავტონომია, რა გინდ დემოკრატიული იყოს ის, წარმოადგენს ქართული ნაციონალიზმის დიდებულ გამარჯვებას და ამიერ-კავკასიის ერთა შორის ნაციონალური ბრძოლის დაკანონებას. ჩვენ ეს მიგვაჩნია მუშათა მოძრაობის დამღუპველად და ინტერნაციონალური დროშის ალაგას, ნაციონალურის აფრიალებად".
>
> („რჩეული ნაწერები" გვ. 617)
>
> ნოე ჟორდანია.

ისტორიის გასწვრივ ბევრი ეწევა მასხარობას, მაგრამ ისტორიაც კიდევ უფრო მეტს ამასხარავებს. პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური მოღვაწენი კვდებიან არა მარტო მით, რომ ისინი გარიყული რჩებიან მასის მიერ; არამედ კიდევ უფრო ტრაგიული სასიკვდილო აგონია ეწევა მათ აზროვნების კრიზისის გამო, პოლიტიკური მოვლენების შეუმცნობლობის ნიადაგზე.

მენშევიზმი, რომელმაც ერთგვარი როლი შეასრულა ცარიზმთან ბრძოლაში, დღეს უკვე რეაქციონურია ეკონომიური ცხოვრების გაგებაში და კონტრ-რევოლიუციონურია რევოლიუციის პროცესში. მაგრამ მენშევიზმის ტრაგედია ამით არ ამოიწურება.

ეროვნულ საკითხში მენშევიზმა უმაგალითო დამარცხება განიცადა. ხალხი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ებრძოდა საქართველოს სახელმწიფოებრივ იდეას; ხალხი, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სახელმწიფოებრივ თვალთახედვას; ხალხი, რომელიც არბევდა და ამსხვრევდა იმათაც კი, რომელნიც სოციალურ საკითხში თვით მენშევიზმსაც კი სცილდებოდა მარცხნივ, ეს ხალხი 1918 წ. 26 მაისს გამოდის ეროვნული პოლიტიკის მესაჭეთ და თუ ერთი მხრით მორცხვი ფრაზებით სცდილობს იდეური გაკოტრების მიჩქმალვას, მეორე მხრით უკიდურეს ნაციონალისტურ დროშას ეღაუჭება და თავის გადასარჩენად მოხერხებულად აფრიალებს.

სამი წლის ისტორია მენშევიზმისა საქართველოში, ილიუსტრაციაა პოლიტიკური სპეკულიაციის უაღრესად განვითარებისა. ის ხალხი, რომელსაც 1918 წ. 26 მაისამდე არ ესმოდა საქართველოს სუვერენობისა და თავისუფლების იდეა და „საქართველოს ნაციონალური ავტონომია, რაგინდ დემოკრატიული ყოფილიყო იგი"... მაინც მიუღებლად მიაჩნდა „მუშათა მოძრაობის დამღუპველად" წარმოედგინა, სწორედ ეს ხალხი 26 მაისის აქტის შემდეგ არა თუ „ნაციონალურ ავტონომიას" სახავს მიუღებლად მუშათა მოძრაობისათვის, არამედ სეპარატიზმს იღებს, როგორც იდეალს „დემოკრატიის" ინტერესების დასაცავად.

არც ერთ მთავრობას საქართველოში იმდენი სამსახური არ გაუწევია ზოოლოგიური ნაციონალიზმისათვის, როგორც ეს შეასრულა „ინტერნაციონალისტების" წარმომადგენლებმა, მენშევიკურმა ხელისუფლებამ. დაწყებული მთავრობის თავმჯდომარიდან და გათავებული წვრილფეხა აგიტატორით, ყველა რუსეთის ბარბაროსობას გაჰკიოდა და „ევროპის იმპერიალისტებს" მიჯნურობას უცხადებდა. დაწყებული „ერთობიდან" და გათავებული „ეშმაკის მათრახით" ყველა ცდილობდა ბრძოლას ყოველივე რუსულის წინააღმდეგ.

არ ეგონოს რომელიმე გულუბრყვილო მკითხველს, რომ აქ, ამ შემთხვევაში მაინც ჰქონდათ ლოღიკა მენშევიკებს. მენშევიკებისათვის რუსეთი კულტურისა და პროგრესის, რევოლიუციისა და თავისუფლების ქვეყანა იყო მანამ, სანამ იქ მენშევიკები ბრძანებლობდენ. რუსეთის ქებათა-ქებამ მენშევიკებისაგან ლამის მთელ ქართველ ხალხს შეაძულა თავისი სამშობლო და გაბრიყვებული ხალხი ამხედრდა თავისივე თავისუფლების წინააღმდეგ. რუსეთი იყო მენშევიკების ხოტბის საგანი, მაგრამ როდესაც მენშევიკები გამოსდევნეს რუსეთიდან, რუსეთის კულტურაც თურმე დაეცა, ხალხიც გაველურდა, რევოლიუციაც რეაქციათ იქცა, თავისუფლება მონობად შეიცვალა. ასეთი იყო და არის მენშევიკების მიმართების ლოღიკა რუსეთისადმი.

ჩვენი ეპოქა უაღრესად რელატივიზმის ეპოქაა. აბსოლიუტური კრიტერია არ არსებობს მოვლენათა განჯგუფებისათვის ამდენადვე ვისიმე „მოღალატეობის" შესახებ ძნელია ლაპარაკი, რადგან არ არსებობს ობიექტიური საზომი და ყოველივე თვალსაზრისის, დოგმის, პრინციპის მიხედვით სწყდება, მაგრამ მენშევიკების დახასიათების შესახებ კი ასეთი სიძნელე არ არსებობს. ეს სიადვილე შედეგია იმ გარემოების, რომ მენშევიკებისათვის არ არსებობს არც პრინციპი და არც ლოღიკა. ისტორიული თვალსაზრისით ამ ხალხის მოქმედება შეიძლება დახასიათებული იქნეს როგორც მოქმედება ბატონობის მაძიებელთა, რომელთათვის მისაღებია ყოველივე საშუალება ამ მიზნისათვის.

მისთვის მისაღებია რუსეთი, თუ იქ მენშევიზმი ბატონობს, მიუღებელია იგი, როდესაც ბატონობის საშუალება წართმეულია. მისთვის მიუღებელია საქართველო, როდესაც ბატონობის ასპარეზი უფრო ვრცელია, ვიდრე საქართველო, მისაღებია იგი, როდესაც ბატონობის ფარგლები საქართველოს საზღვრებით იხაზება. მისთვის მიუღებელია ნაციონალური ავტონომია, ამავე დროს მისაღებია უკიდურესი ფორმა ნაციონალიზმის და მისი პოლიტიკური სახის სეპარატიზმის. ყოველივე ეს სრულ უფლებას გვაძლევს, რომ მენშევიკები გავასამართლოთ არა მარტო პოლიტიკური საზომით, არამედ კრიმინალური საზომითაც.

მენშევიკების მოღვაწეობაში არ არის ისეთი მომენტი, რომ ისინი მოღალატენი არ იყვნენ. არსებითად ეს ხალხი სისხლის სამართლის წესით დასჯილი ხალხია.

როგორადაც არ ამასხარავებდენ მენშევიკები ისტორიას და როგორადაც გამასხარავებული არ არიან ისინი ისტორიისაგან დღეს მაინც კიდევ არ სცხრებიან და ეს გაუსწორებელი ტვინისა და გაუსწორებელი ენის ხალხი ეროვნულ იდეით გამოდიან. ეს ხალხი დღეს ჩვენ გვიყენებს კონტრ ბრალდებას ეროვნული მოღვაწეობის სფეროში. ჩვენ, რომელთაც ეხლაც კარგა გვაჩნია მათი ბრძოლის იარაღის ნაშთი ჩვენს პოლიტიკურ სხეულზე, მხოლოდ იმიტომ, რომ „ნაციონალურ ავტონომიას" მოვითხოვდით.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? რისთვის არის ერთგვარი პირობები მენშევიკური ლაყბობის მოსმენისათვის საქართველოში? რისთვის უსმენს ამ ისტორიის მასხარებს ქართველი ხალხის ზოგი ნაწილი? სად არის ამის მიზეზი?

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ დამარცხებული მენშევიზმის ინტერესი შეუთანხმდა საქართველოს თავისუფლების ინტერესს და ამის გამო ქართველმა ხალხმა ეროვნული გმირების სახეები დაინახა მენშევიზმის აპოლოგეტებში. არსებითად კი აქ იყო ერთი მხრით დამარცხებული მენშევიზმი, მეორე მხრით გამარჯვებული საქართველო. ეს ლოღიკურიც გახლდათ, რადგან მენშევიზმის გამარჯვება ყოველთვის უდრიდა და დღესაც უდრის საქართველოს დამარცხებას.

საუკუნის მონობით განაწამები ერი ხარბად დაეწაფა ეროვნულ თავისუფლების წყაროს და რადგან ამ წყაროს მცველად ისტორიის ნებით, შემთხვევით, აღმოჩნდა მენშევიზმი, ქართველმა ხალხმა საქართველოს თავისუფლება და მენშევიზმი სინონიმად აქცია.

საბჭოთა წყობილების დამყარების პროცესის მტკივნეულობა, რომელიც გამოიხატება უცხო ძალის შემოსვლაში არ შეიძლებოდა ხალხს არ განეცადა მწვავედ. ერთი მხრით წითელ მანტიით მოვლენილი ხალხი, რომელიც კომუნისტურ დროშას აფრიალებდა და რომელსაც სხვა მიზნები ჰქონდა და აქვს, არ შეიძლებოდა შეუმჩნევლად დარჩენილიყო ხალხისათვის. მეორე მხრით მენშევიკების მიერ დასახული გზით ხალხი გაჰყვა ლოდინის პოლიტიკას და რამდენათაც ახალ წყობილებას დაშორდა ინტელიგენტური მასა და განზე გადგა, იმდენად სახელმწიფო აპარატში გაბატონდა არა ქართველი ელემენტი, არა ქართული ენის მცოდნე ხალხი. ამ გარემოებამ თავის თავად შექმნა შემდეგი სურათი. უცხო ძალა—როგორც დასაყრდენი ხელისუფლების, უცხო ელემენტები—როგორც წარმომადგენელნი სახელმწიფო აპარატის, ქართული ენა—როგორც ფაქტიურად არა სახელმწიფო ენა და სხ.

ყოველივე ეს რა თქმა უნდა ანორმალურ ხასიათს აძლევს მთელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და მექანიურად ხდება ეროვნულ კულტურის შევიწროება.

რა თქმა უნდა შეუძლებელია მთელი სიმძიმე შექმნილ მდგომარეობისა მიეწეროს მენშევიკებს და ობიექტიურ პირობებს. ბოლშევიკებმაც დიდი აჩქარება გამოიჩინეს ზოგიერთი საკითხების გადაწყვეტაში, დიდი შეცდომები დაუშვეს ეროვნული პოლიტიკის სფეროში

უნდა მიტანილ იქნეს სადგურ ნატანებში არა უგვიანეს 20 ივლისისა.

ამიერ კავკასიის რკ. გზა უნდა შეუდგეს სადგურ ნატანებში ყველა რკინის გზის ხიდების 4 და 5 საჟენიანის და 5 და 10 საჟენიანის და აგრეთვე ყველა დასაგებელი მასალის გაგზავნას, როგორც მაგალითად: რელსების, ისრების და მისი მასალის და „სემაფორების" ნიშან-სვეტის. ამ მასალების სადგურ ნატანებში მიზიდვა უნდა დამთავრდეს ორი თვის განმავლობაში, ე. ი. 1 სექტემბრისათვის.

1 აგვისტოდან. უნდა შეუდგეს მიწის მუშაობის დაწყებას და ხელოვნურ სიმაგრეთა შენობას და განსაკუთრებით ქვის სიმაგრეებისა და მდინარე ნატანებსა და ბჟუჟიზე ჯებირების გაკეთებას. განსაკუთრებით ინტენსიურად უნდა სწარმოებდეს მიწის მუშაობა პირველი რვა ვერსის სიგრძეზე სადგურ ნატანებიდან მდინარე ნატანების ხიდამდე. ეს მიწის მუშაობა უნდა დამთავრდეს 1 ოქტომბრისათვის, ხოლო ქვის სიმაგრეები და მდინარე ნატანების ჯებირები კი 15 ოქტომბრისათვის. მიწის მუშაობა და ხელოვნურ სიმაგრეთა გაკეთება ნატანების ხიდიდან მდინარე ბჟუჟის ხიდამდე, ე. ი. რკ. გზის მე 14 ვერსზე უნდა დამთავრდეს 15 ნოემბრისათვის და დასასრულ მიწის ყველა სამუშევარი და ხელოვნური სიმაგრენი მე—14 და და მე 12 ვერსზე დამთავრებულ უნდა იქნეს 1 დეკემბრამდე.

ზემო-აღნიშნული ვადები საბოლოოდ დამოკიდებულია დასაგებ მასალის დროით მიტანაზე. მხედველობაში უნდა უნდა მივიღოთ შემოდგომის ხშირი წვიმები, რომლის დროსაც მიწის მუშაობის წარმოება შეუძლებელია და ამისდამიხედვით შევეცადოთ მიწის ყველა სამუშაოს რაც შეიძლება დაჩქარებით დამთავრებას.

15 აგვისტოდან უნდა შევუდგეთ ტელეგრაფის 1 სვეტების დადგმას და 15 სექტემბრისათვის გავიყვანოთ მთელ ხაზზე ტელეფონი.

1 სექტემბრიდან უნდა დავიწყოთ სამოქალაქო შენობათა აგება, რომელნიც დამთავრებული უნდა იქნეს სამი თვის განმავლობაში, ე. ი. 1 დეკემბრისათვის.

1 ოქტომბრიდან უნდა შევუდგეთ ლიანდაგის დაგებას და ეს მუშაობა უნდა ვაწარმოვოთ იმგვარად, რომ 15 ოქტომბრისათვის იგი მივიყვანოთ მდ. ნატანების 30 საჟენიანი ხიდამდე, რომელიც იმყოფება მე 8 ვერსზე სად. გურიიდან. ხიდი უნდა გავაკეთოთ ერთ თვეში, ე. ი. 15 ნოემბრისათვის.

იმ დროს განმავლობაში, როდესაც ხიდის გაკეთება სწარმოებს, ე. ი. ერთ თვეში, უნდა დავყაროთ ხრეში გზის პირველ 8 ვერსზე და მერიის სად.

ლიანდაგის დასაგებათ და გზის გასამაგრებლად ამიერ-კავკასიის რკ. გზამ უნდა მოგვცეს ჩვენ განკარგულებაში 2 ორთქლმავალი, 100 ქიმის ბაქანი, 2 წყლის ცისტერნა, 3 თვის ვადით 1922 წლის პირველ ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდის.

15 ნოემბრიდან უნდა გაგრძელდეს ნატანების ხიდიდან ლიანდაგის დაგება და 25 ნოემბრისათვის იგი უნდა მივიყვანოთ მდ. ბჟუჟის 20 საჟენიან ხიდამდე, რომელიც ხიდიც გაკეთებული უნდა დავაყაროთ ხრეში მე 8 ვერსიდან მე 14 ვერსამდე.

15 დეკემბრიდან უნდა გაგრძელდეს ლიანდაგის დაგება მდ. ბჟუჟის ხიდიდან და 20 დეკემბრისათვის უნდა დამთავრდეს როგორც მთავარი ხაზის, ისე სადგურ ოზურგეთის ყველა ლიანდაგის დაგება. 15 დან 31 დეკემბრამდე უნდა დამთავრდეს მე 14 და მე 15 ვერსის გზის და სადგურ ოზურგეთის ლიანდაგის ხრეშით მოფენა.

1923 წლის 1 იანვრიდან უნდა გაიხსნას გზა საექსპლოატაციოდ.

მბეჭდავ მუშათა შორის

მბეჭდავ მუშათა კრება, რომელიც დანიშნული იყო კვირას 9 ივლისს, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში, სრულიად საქართველოს მბეჭდავთა ყრილობაზე დელეგატების ასარჩევად და არ შესდგა—ხელმეორედ დანიშნულია დღეს 13 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში. ამიტომ პროფკავშირის გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს ამხ. მუშებს უკლებლივ დაესწრნენ კრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

პასუხისმგ. მდივანი ვ. ბერბერაშვილი.

ახალი ამბები

— **შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის გადამხდელებმა** უნდა სცადონ დაჩქარებით შეიტანონ ფული ხაზინაში ვინაიდან მაისის პირველიდან ეთვლება ჯარიმა 15 პროც. თვიურად და მიღებულ იქნება ზომები იძულებით გადაახდევინონ, როგორც გადასახადი ისე ჯარიმა.

აგვისტოს პირველიდან დაეგზავნებათ, უწყება შესახებ სამრეწველო გადასახადისა მიმდინარე წელს. გადახდა დაიწყება ენკენისთვის პირველიდან და ნოემბერში კი იწყება შემდეგი წლის გადასახადის ვადა.

— **ფინანსების გაერთიანებული სახალ. კომისარიატში** მუშავდება დებულება 15 პირისაგან შემდგარი საბჭოსი რომელიც გაანაწილებს წევრთა შორის ფედერაციის საფინანსო მეურნეობის განყოფილებებს.

— **ტფილისის ექსპორტი და იმპორტი.** ქალაქის სტატისტიკურმა ბიურომ დაასრულა მასალების დამუშავება შესახებ შემოტანილ და გატანილ საქონლისა თფილისში (რკინის გზით), 1913 წლის იანვრის 1 იდან, მიმდინარე წლის მაისამდე. მთელი იმპორტი და ექსპორტი განაწილებულია საგნების მიხედვით.

— **მთელი ტრანსპორტი ტფილისის** ალმასკომისა გადაეცა კომუნალური მეურნეობის სანიტარულ-საშენ-ტეხნიკური ნაწილის გამგეს ამხ. ბარჯანაძეს, რომელიც შეუდგა გარაჟის მოწყობას ვერის ბორანის ზერელზე. აქ იქნება თავმოყრილი ქალაქის ავტომობილები.

— **ქალაქის თავლას,** რომელიც იტევდა 60 ცხენს აფართოებენ. უნდა მოთავსდეს 100 ცხენი.

— ეწყობა ერთი დიდი **სახელოსნო ქალაქის ავტომობილების შესაკეთებლად.** დღემდის აკეთებინებდენ კერძო სახელოსნოებში.

— **შეუდგენ საბჭოთა შეკეთებას სახლებისა,** რომელიც კომუნალური მეურნეობის გამგეობაშია. სანიტარულ საშენი ტეხნიკურ ნაწილს მიენდო ყველა საბჭოთა სახლების და შრომის სკოლების შეკეთების ხარჯთ აღრიცხვის შედგენა.

— **ტფილისის ალმასკომმა** გაგზავნა კოჯორში კომისია იმ აგარაკების დასათვალიერებლად, რომელნიც უნდა გადაეცეს ალმასკომს. კომისიამ უნდა შეადგინოს აგრეთვე მათი შეკეთების და ზამთარში გამოსაყენებლად გადაკეთების ხარჯთ აღრიცხვა.

— **მიწის და ტყის.** მუშათა კავშირის 2 საერთო ყრილობა გადაიდო ივლისის ათიდან 29-ისათვის.

— 28 ივნისს, დაიკარგა სამხედრო სარეგისტრაციო მოწმობა მიცემული მე 4 ხე სამილიციო სამმართველოს მიერ 1922 წელს გიორგი თოსპებისძე დავითაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **სავაჭრო ურთიერთობანი ჩეხოსლოვაკიურ ფირმებთან.** საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატი ფართო საკომერციო ურთიერთობას იწყებს დიდ ჩეხო-სლოვაკიურ ფირმებთან, რომლებთანაც უკვე გამართულია მოლაპარაკება.

— **ყარსის კონვენციები.** შ. ს. ს. კომისარიატმა მიიღო ყარსის დადებული კონვენციების ასლები. კონვენციებში გათვალისწინებულია უფლებები და მოვალეობანი ოსმალეთიდან საქართველოში შემოსული და აგრეთვე საქართველოდან ოსმალეთში მიმავალ მეჯოგეთა და მენახირეთა უფლებები და მოვალეობანი. შ. ს. ს. კომისარიატმა სასწრაფოდ დაუგზავნა სათანადო მიწერილობა აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭოს და ახალციხე ახალქალაქის ალმასკომებს, რომლებთაც დაევალათ კონვენციის § 4 თანახმად მისი სისრულეში მოყვანა და სათანადო ენერგიით ცხოვრებაში გატარება.

პროვინციის ცხოვრება

სიმშილობა ახალქალაქის მაზრაში. 1921 წლის ამბებმა და მიმდინარე წლის მოუსავლობამ დამღუპველი გავლენა მოახდინა მაზრაზე. ამ ჟამად არ არის დიდი სიმშილობა, არა სჩანს, მაგრამ ზამთრისათვის მოსალოდნელია დამშეულთა რიცხვმა 5—6.000 მიაღწიოს.

— **აფხაზეთის კომისართა საბჭოში.** აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელს სხდომაზე ურთიერთ ანგარიშის წარმოების საკითხის შესახებ სახ. კომისართა საბჭოს ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატსა და პლანტატორთა კოოპერატიულ ამხანაგობასთან დადგენილ იქმნა აირჩიონ კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს სავაჭრო კომისარიატისა და პლანტატორთა კავშირის დავალიანება სახ. კომ. საბჭოს წინაშე და საშუალება ანგარიშების გასწორებისა.

— **ხოლერა.** ივნისის უკანასკნელ რიცხვებში სოხუმში იყო რამოდენიმე შემთხვევა ხოლერით დაავადმყოფებისა. რამოდენიმე მათგანი გარდაიცვალა.

— **აბასთუმანის კურორტზე.** აბასთუმანის კურორტის ვანები, რომელნიც გადატანილია კურორტების მართველობის მიერ სამეურნეო ანგარიშზე, თანდათანობით იწყებენ აღდგენას. სწარმოებს საჭირო რემონტი. ყოველდღიური საშუალო შემოსავალი ერთიდან სამ მილიონამდე აღის. სეზონის გახსნიდან მოსალოდნელია ყოველდღიური შემოსავალი არა ნაკლებ 10—15 მილ. ფასები ვანით სარგებლობისათვის ძლიერ მცირეა—15—25 ათასი სულზე. განყოფილება ტუბერკულიოზით დაავადმყოფებულთათვის გამოყოფილია სხვა აბანოთიერებისაგან.

— **ახალ-ქალაქის მაზრაში.** მაზრაში არის რამოდენიმე ტბა, რომლებშიაც საუცხოვო ხარისხის კალმახებია. უწინ ამ ტბებს იჯარით იღებდნენ და ამითი ექსპლოატაცია არავითარს ზიანს არ აყენებდა თევზის მრეწველობის საქმეს. ამ ჟამად ყველაზე გამოუკითხავად იჭერენ თევზებს, აკრძალულ დროსაც, და არის მიზეზი ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია მოისპოს ამ ხარისხის თევზები სავსებით. სულ სხვა მდგომარეობაში არის ნადირობის საქმე. სანადირო მოწყობილობის, განსაკუთრებით, ტყვიისა და წამლის უქონლობის გამო, ძლიერ გამრავლდა გარეული ფრინველები, განსაკუთრებით იხვები.

სამხატვრო ქრონიკა

— **მხატვარი ვალერიან სიდამონ ერისთავი.** განაგრძობს მუშაობას ქართულ ისტორიიდან (წარსული, აწმყო) დახატული აქვს: „პატარა კახის პირველი გამოლაშქრება", „კერპთ-თაყვანის მცემლობა", წმინდა ნინოს ქადაგება" თორნიკე ერისთავი", „ზვენაბადა" და სხ.

— **ლადო გუდიაშვილი.** პარიზიდან მიღებული ცნობით ლადო გუდიაშვილისთვის სტიპენდია მოუსპიათ და გაჭირვებას განიცდის. მიუხედავათ ამისა, ის ჯერჯერობით მაინც არ სტოვებს პარიზს.

— **ქართული რეგალიების გადმოტანა რუსეთიდან.** სახალხო განათლების კომისარიატის მოლაპარაკება რ. ს. ფ. ს. რ. განათლების კომისარიატთან რუსეთის ქალაქებში დაცულ ქართულ რეგალიების, ძეგლების და ხელნაწერების საქართველოში გადმოტანის შესახებ, ორივე კომისარიატის შორის სრული შეთანხმებით დასრულდა. რეგალიების გადმოტანა განზრახულია სულ მოკლე ხანებში. ძეგლების გამოსარჩევ კომისიაში დანიშნულია პროფ. კორნელი კეკელიძე და პავლე ინგოროყვა, რომელნიც 17 ივნისს მიემგზავრებიან მოსკოვს.

ტფილისის ქალაქის ალმასკომში

(შემდეგი)

წინა თვეების შემოსავლის შესახებ რადგან მოყვანილია ცნობები იმ ანგარიშში, რომელიც დაურიგდა საბჭოს წევრებს—ამიტომ მომხსენებელი აღნიშნავს მხოლოდ მაისის შემოსავლის წყაროებს და შემოსავლის რაოდენობას.

წმინდა ფინანსიური ხასიათის შემოსავალმა მოგვცა 9,88 მილიარდი მანეთი. მათ შორის (მილიარდ მანეთებში). უძრავი ქონებისაგან 0; ვაჭრობა-მრეწველობისაგან 2,62; ცხენებისა, ეტლებისა და სხ. 0,18; გადასახადები 0,95; ქალაქის ქონებიდან და საიჯარო შემოსავლიდან 4,34 საავადმყოფო გადასახადიდან 0,83; სამისამართო მაგიდიდან 0,83; სახლების რეგისტრაციიდან 0,16; უფრო წვრილი შემოსავალი 0,45; დარჩენილი გადასახადი 0,17.

წარმოებათაგან შემოვიდა 15,98 მილიარდი, მათ შორის (მილიარდ მანეთებში) შემოვიდა. წყალსადენისაგან 2,86; სასაკლაოსაგან 0,49; ტრამვაისაგან 9,82; ელსადგურთა სამართველოდან 1,54; აბანოებისაგან 0,82; მომარაგების განყოფილებისაგან 0,48; ფუნიკულიორისაგან 0,12; სხვა და სხვა შემოსავლიდან 0,14; სამიწათ-მოქმედო განყოფილებისაგან 0,09.

თვიური შემოსავლით წმინდა ფინანსიური ხასიათისა შეადგენს (მილიარდ მანეთებში) იანვარში 5,9; თებერვალში 4,3; მარტში 8,1; აპრილში 6,8; მაისში 9,8.

თვიურად ფინანსიური შემოსავალს ეჭირა მთელი შემოსავლის ჯამში შემდეგი პროცენტები:

იანვარში 59,5; თებერვალში 43,4; მარტში 51,9, აპრილში 37,9; მაისში 37,9.

მიუხედავად ფინანსიურ შემოსავლის აბსოლიუტურ სიდიდისა, ისინი კლებულობენ პროცენტული შედარების მხრივ მთელ შემოსავლის მიმართ. ეს მოვლენა წარმოადგენს ყველაზე მეტსა და ერთად ერთ ნიშანს ჩვენი მეურნეობის წესიერ მსვლელობისას.

როგორც ცნობილია, [illegible] მოებანი წარმოადგენენ [illegible], რომელსაც სჭირდება დიდი მზრუნველობა და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შემოსავალს არ ქონდა რეგულიარული და სწორი ხასიათი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ მოსალოდნელია სისტემატიური ხასიათი მიეცეს შემოსავლის გადიდებას და ჯანსაღმა სამეურნეო საქმიანობამ დაიჭიროს ადგილი ქალაქის მეურნეობაში.

ჩვენს წინაშეა გასაკეთებელი მრავალი საქმეები, რომელსაც ესაჭიროება დიდი შრომა და მრავალ დაბრკოლებათა გადალახვა, რის გამო ფინანსიური საშუალებების ნაკლებობას ყოველთვის ექნება ადგილი. დღეს ჩვენ 4 საწარმოო ამოცანა გვაქვს წინ—ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის გაკეთება, წყალსადენის კაპიტალური რემონტი, გაყვანა ტრამვაის სად. ნავთლუღამდე და გაშენება მუშათა მოსახლეობის ქალაქის მახლობელ სავარგის მიწებზე. პირველი ამოცანა იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ მას ღირებულება აქვს მთელი ფედერაციის მაშტაბით, დანარჩენები კი ქალაქის ცხოვრების გაუმჯობესებას მეტად წინ წასწევს.

ამ დიდ ამოცანების გარდა, ქალაქს აქვს რამოდენიმე ფრიად საჭირო და მიუცილებელი საქმე, რომელიც მდგომარეობს სკოლების, მედიკამენტების, ტრამვაისა და სხ. მოწესრიგებაში.

საერთო გასავალი თვიურად მოსალოდნელია 15 მილიარდი. ამისათვის საჭიროა, რომ ფინანსიურმა განყოფილებამ გამონახოს შემოსავლის წყაროები.

მაისის თვეში საერთო გასავალი ქალაქის უდრიდა 29,5 მილიარდს, მათ შორის სახ. განათლებას მოხმარდა 3 მილიარდი, ჯანმრთელობის განყოფილებას 2 მილიარდი, კომუნალურ განყოფილებას 18,4 მილიარდი (შემოსავალი ამ განყოფილების უდრიდა 15,9 მილიარდს, მაშასადამე დეფიციტია 2,5 მილიარდი).

სხვა და სხვა წარმოებას და დაწესებულებას ამავე თვეში დეფიციტი ქონდა —წყალსადენს 1,1; სასაკლაოს 0,3; ელ. სადგურების სამართველოს 1,6; მიწათ-მოქმედების განყოფილებას—0,7.

ალმასკომს სახალხო ბანკის ქონდა 25 ივნისს 8.950 მილიონი მანეთი. კავ. ცალკე არმიისაგან კომუნალური მეურნეობის ხარჯების 1922 წ. ანგარიშით ქალაქმა მიიღო 5 მილიარდი მანეთი და 5 მილიარდი რუსული ფულის ნიშნებით.

1 ივლისს ქალაქს ერგება სახელმწიფო და სამხედრო დაწესებულებისაგან სულ 40,7 მილიარდი მანეთი.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია მუშათა ხელფასის ვალიუტარიზაცია, მტკიცე ბიუჯეტის შექმნა და ამისათვის ღონიშნა სხვა და სხვა საშუალებებზე.

ამხ. თ. ღლონტის საფუძვლიანმა მოხსენებამ გამოიწვია მხურვალე კამათი.

სახ. განათლების განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. გ. რუხაძემ განაცხადა, რომ 3 მილიარდი თვეში არ არის საკმაო 2000 კაციანი შტატის შესანახავად და მოითხოვა, რომ ალმასკომმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

ამხ. გ. რუხაძის შენიშვნებისა და სხვების შეკითხვების შემდეგ, ამხ. ლ. დუმბაძის წინადადებით მიღებულ იქნა დადგენილება, რომ ამხ. თ. ღლონტის მოხსენება დაიბეჭდოს გაზეთებში და აგრეთვე დაეგზავნოს ალმასკომის წევრებს.

და შექმნილ მდგომარეობის დროს ეს საკმაო საფუძველი გახდა ინტელიგენტური მასისათვის, რომ ის ან ლენინის პოლიტიკას და ან და გაბუტვის პოლიტიკას მიმხრობოდა.

ეს ნიადაგი მეტად ნოყიერი გამოდგა ისტორიის მასხარებისათვის. მენშევიკები კვლავ შეუდგა ხელისუფლების ძიებას. მისთვის მისაღები გამოდგა „რაც უარესი—მით უკეთესის" პოლიტიკური ფორმულა, რაც უდრის არსებითად „საქართველოს დაქცევით—ავტონომიისაკენ". როგორც ყოველთვის მენშევიკები ეხლაც იქ დავინახეთ, სადაც მათი ადგილია. ლენინთან ლაპარაკი შეუძლებელი გახდა მათთვის, პუანკარეს კორიდორებში ცდა კი მისაღები.

ეს უკანასკნელი სურათია ისტორიის მასხარათა კონცერტის, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი მენშევიკური სენით არის დაავადებული და შესაძლებელია მენშევიზმის სამარემ ჩაითრიოს ჩვენი ინტელიგენციის ეს ნაწილი.

ქართველ ინტელიგენციას ავიწყდება, რომ თუ ოდესმე საჭირო იყო მუშაობა და ბრძოლა ერისათვის,—ეხლა ეს საჭირო და აუცილებელია. უმწარე სინამდვილეა დღეს ჩვენს წინაშე, რომ ყველა პირობები ეროვნული თავისუფლებისა არ არის უზრუნველყოფილი. ენისა და კულტურის საკითხია დღეს ჩვენს წინაშე, რომ არ ვილაპარაკოთ უფლებრივ ნორმებზე. ეს მდგომარეობა რა თქმა უნდა არ შეუდგენს საბჭოთა კონსტიტუციის სპეციფიურ თვისებებს. ამას ქმნის არსებული ძალთა განწყობილება. ერთი მხრით არის ბუნებრივი და ნაწილობრივად ხელოვნური კონკურენცია, ხოლო მეორე მხრით უმოქმედობა და გადგომა. ეს კი დაღუპველია ჩვენი ქვეყნისათვის.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ გარდამავალ ხანაში შეუძლებელია ეროვნული თავისუფლების სრული უზრუნველყოფა, ისიც გვესმის, რომ კულტურულ შეჯიბრებას და ბრძოლას ვერ ავიცდენთ ვერასოდეს და ეს არც არის სასარგებლო და მისაღები, ხოლო საჭიროა თავდადებული მუშაობა და კვლავ მუშაობა.

ლენინის პოლიტიკას დასასრული უნდა მიეცეს, ისტორიის მასხარათა ლაყბობას ამიერიდან მაინც აღარ უნდა ექნეს ადგილი ჩვენს ქვეყანაში. ვისაც ყური იმისათვის აქვს, რომ ისმინოს და თვალნი იმისათვის, რომ იხილოს,—იგი უნდა დარწმუნდეს ლენინის პოლიტიკის უსაფუძვლობაში და მის დამღუპველობაში.

მენშევიზმი ეს უკურნებელი სენის ბაცილა გამოდგა. რომელიც ღრღნის ჩვენს ეროვნულ სხეულს დიდიდან [illegible] არსებობისა. ჩვენ უნდა შევსძლოთ ამ ბაცილის მოსპობა. მენშევიზმი უნდა მოკვდეს, რომ საქართველომ იცოცხლოს. ქართველი ინტელიგენცია უნდა დაუბრუნდეს ერის სამსახურს, უნდა იბრძოლოს ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

ისტორიის მასხარათა კონცერტს საჭიროა დასასრული მიეცეს, ქართველმა ხალხმა თვით უნდა გამოჭედოს ეროვნული თავისუფლების ბედი.

ს.—ელი.

№ 244

№ 14 ახალგაზრდათა ხმა № 14

პოლიტიკა და ახალგაზრდობა

პოლიტიკისა და ახალგაზრდობის დაპირისპირება პარადოქსალური აზრის მატარებელია. ამ ორ ცნებას შორის თითქოს არავითარი კავშირი არ არსებობს და მათ შეხებზე არავითარი აზრის არსებობაც არ შეიძლება. მიუხედავად ამისა თუ მოვლენათა შორის დაფარულ კავშირს მივწვდებით, აუცილებლად დავინახავთ, რომ პოლიტიკა ახალგაზრდობისათვის არ არის ის, რაც არის იგი საერთოდ.

ფსიქიური ფაქტორებს, ტემპერამენტს, ადამიანის ბუნებას პოლიტიკის ხასიათზე დიდი გავლენა აქვს. არა თუ სხვა და სხვა მიმართულებათა არჩევა, არამედ ერთი და იგივე მიმართულების დანაწილება ხდება ფსიქიური ფაქტორების, ტემპერამენტის მიხედვით. პოლიტიკაში ხშირად მშრალ ფორმულებს, უსიცოცხლო დოგმებსა და მკვდარ თეორიებს სჭარბობს ცოცხალი აზრი, მოძრავი სულისკვეთება, შეუდრეკელი ენერგიის გაქანება.

მარქსისტული მიმართულება, რომელსაც წილად ხვდა ფართო განვითარება და ამასთანავე სხვა და სხვა ფრთად დაყოფა ერთი მიზეზთაგანი ამ დაყოფის უნდა ვეძებოთ თვით პიროვნების ტემპერამენტში. ავიღოთ თქვენ კაუცკი და ტროცკი, პილსუდსკი და ლენინი, ზინოვიევი და ვანდერველდე, მათ შორის განსხვავება არა მარტო პრინციპიალი ხასიათისა არამედ განსხვავება რევოლიუციონური ტემპერამენტისა და ბრძოლის უნარის მხრივ.

ახალგაზრდობა კი ეს ენთუზიასტური ნაწილია საზოგადოების, მისთვის მეშჩანური იდეალი, კარიერისტული მისწრაფება, უტილიტარისტული თვალსაზრისი არ არსებობს. ახალგაზრდობის სულისკვეთების ანარეკლია რომანტიზმი, რა თქმა არა როგორც ლიტერატურული მიმართულება, არამედ როგორც ფსიქოლოგიური მომენტი. ამიტომ არის, რომ ახალგაზრდობა იდეალით, მომავალით, ოცნებით სცხოვრობს. იგი ვერ ურიგდება არსებულს, ვერ ეგუება აწმყოს.

ჩვენში ახალგაზრდობა მონათლულია კონტრ-რევოლიუციონერ ელემენტად. რა თქმა უნდა ეს მართალია ახალგაზრდობის ნაწილისათვის, მაგრამ შეცდომაა საერთოდ ახალგაზრდათა მიმართ. ვინც ახლოს იცნობს ახალგაზრდობის სულისკვეთებას, ვინც იცის მისი ჭირი და ლხინი, მას ისიც ეცოდინება, რომ ჩვენი ახალგაზრდობა დღეს მომხდარი სოციალური ეფექტის გამო, საქართველოს თავისუფლების ნიადაგზე პატრიოტულ რომანტიზმით არის გატაცებული. ასეთი მოვლენა ფსიქოლოგიურად აუცილებლად დადებითი და მისაღებია, მაგრამ პოლიტიკურად უარყოფითი და მიუღებელია.

ჩვენი ახალგაზრდობა დღესაც, როგორც წინეთ მზათ არის თავგანწირვისა და თავდადებისათვის, მხოლოდ ამ თავგანწირვის მიმართების სისწორე არ არის მისაღები.

ჩვენს ახალგაზრდობის სულისკვეთებას ახასიათებს ორი უმთავრესი დიდი მომენტი; პირველია—მომენტი თავგანწირულებისა; მეორე მომენტი—საქართველოს თავისუფლებისა. ეს ორივე მომენტი დადებითი და მისაღებია მაგრამ ქანობა ამ ორ მომენტს შორის არ არის მიზან შეწონილად გამოწვეული.

დღეს საქართველოს თავისუფლებისაკენ მოსწავლე ახალგაზრდათა მასა მიდის რეაქციის გზით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რეაქციასთან ორგანიულად დაკავშირებული იყოს მოსწავლე ახალგაზრდობა. სრულიად არა. იგი მიდის რეაქციის გზით, რადგანაც ამ გზით ფიქრობს საქართველოს თავისუფლებისაკენ სვლას. მაგრამ თუ ჩვენ ახალგაზრდობას დავანახვებთ, რომ საქართველოში არსებითად საქართველო ბატონობს, თუ ჩვენ მას მივმართავთ რევოლიუციის ორიენტაციით, მაშინ რომ შევცვალოთ ახალგაზრდათა პოლიტიკური ფორმულაში ერთი ნიშანი და დავტოვოთ ორი სხვა, გამომხატველი თავგანწირვისა და საქართველოს თავისუფლებისა, იგი მიიღებს თავის ბუნებრივ სახეს და ახალგაზრდობა კვლავ სწორი გზით ივლის საქართველოს თავისუფლებისაკენ.

ეს სპეციფიური თვისება ახალგაზრდათა პოლიტიკისა, თუ შეიძლება ვსთქვათ, იმაში მდგომარეობს, რომ მასში სჭარბობს იდეალისტური და ნაწილობრივად სანტიმენტალური მომენტები. სწორი პოლიტიკური ანგარიში აქ ადგილს უთმობს ანგარიშო თავდადებულს, მიზანშეწონილ ბრძოლას. ამიტომ ახალგაზრდათა დამოკიდებულება პოლიტიკასთან სხვა გვარია, ვიდრე პოლიტიკური პარტიების ურთიერთობა პოლიტიკურ ძალთა მიმართ.

ჩვენი მოვალეობაა, რომ მორალური და ფსიხოლოგიური მომენტის სიძლიერე დავუკავშიროთ პოლიტიკურ სიმტკიცეს და შევქმნათ ისეთი პოლიტიკური ჩარჩო, რომელიც დაიცავს ქართველი ხალხის კეთილდღეობის და საქართველოს თავისუფლების ცნებებს.

ხ. კვინწყლიხპირელი

პოლიტეხნიკური ფაკულტეტი

ქართველი ერის ცხოვრებაში მიმდინარე წლის 9 იანვარს მოხდა ერთი მნიშვნელოვანი აქტი: სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაიხსნა პოლიტეხნიკური ფაკულტეტი სამი დარგით სამშენებლო სამექანიკო და სამთო მადნო. ვინ არ იცის, რომ საქართველო წარმოადგენს ბუნებრივად ძლიერ მდიდარ ქვეყანას, როგორც მიწის ქვეშ (ნახშირი, შავი ქვა და სხვა), ისე მიწის პირზე (თეთრი ნახშირი—წყლის ძალა) რომ საქართველომ რიგიანათ დაამუშავოს თავისი სიმდიდრე, რომ მიაწყოს ადგილობრივ ყველაფერი ის, რაც საჭიროა ნედლი მასალის გადასამუშავებლად, მალე საქართველო გვერდში ამოუდგება ევროპის კულტურულ ეკონომიურად დაწინაურებულ სახელმწიფოებს. ბევრი დაბრკოლებათა შორის ამ მიზნის განხორციელებას ხელს უშლის ის მდგომარეობაც, რომ არა გვყავს საკმაო რიცხვი სპეციალისტებისა. მენშევიკურ მთავრობის მიერ გაგზავნილი 75 კაცი უმნიშვნელო რიცხვს წარმოადგენს და სამწუხაროთ იმათგანაც ბევრი არა სპეციალურ დარგზეა. აუცილებელი იყო საქართველოში უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი და ეს მიზანი მიღწეულია. რამოდენიმე წლის შემდეგ ჩვენ გვეყოლება ინჟინრები სხვადასხვა დარგისა, რომელთაც განათლება მიღებული ექნებათ დედა ენაზე, ისინი ბევრს კარგათ იცნობენ ადგილობრივ პირობებს. ხოლო მოეღება „თარჯიმანებით“ მუშაობას, რასაც მუდამ ადგილი ჰქონდა. ტეხნიკური ცოდნის საქმე ჩვენში თანდათან მტკიცე ნიადაგზე დადგება.

პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მდგომარეობა დღეს ასეთია—გახსნილია პირველი ორი კურსი, სადაც მუშაობენ ისეთი გამოჩენილი პროფესორები, როგორიც არიან: დიდებულიძე, ბენაშვილი, რაზმაძე, მუსხელიშვილი, თულაშვილი და სხვ. ამას გარდა მოელიან გერმანელ პროფესორებს, რომლებმაც სურვილი გამოსთქვეს საქართველოში ჩამოსვლისა გარდა გერმანელ პროფესორებისა ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებიდან საქართველოს ესტუმრება ოცამდე ქართველი მეცნიერი, რომლებიც გამგზავრებულნი იყვნენ ამ ორი სამი წლის წინათ სხვა და სხვა სპეციალურ კათედრების დასაცავათ. ზოგმა მათგანმა მიზანს მიაღწია და იტყობინება, რომ ჩქარა გამოემგზავრება. ფაკულტეტის მდგომარეობა დაკმაყოფილებულია კაბინეტების მხრივაც. არის დიდი სინათლიანი სამხაზველო, ლ. დიასამიძეს მოწყობილი აქვს სხვა და სხვა მანქანის ნაწილები ფაკულტეტის საჭიროებისათვის. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მდგომარეობა ჯერ ჯერობით კარგია, სახელმწიფო და ფართე საზოგადოება დიდის იმედით შეჰყურებს საინჟინრო დარგების გახსნას უნივერსიტეტთან, პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან თითქმის მთელი ქართველობა უნივერსიტეტში გადმოვიდა. 1922—23 სამოსწავლო წლიდან დანიშნულია შეჯიბრებითი გამოცდები მათემატიკაში.. დიად ეროვნულ საქმეს საფუძველი ჩაეყარა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როგორც სახელმწიფო, აგრეთვე ქართველი საზოგადოება შესაფერისად შეაფასებს ამ აქტს.

ხ. ჭ—ლი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭოში

აღნიშნული საბჭო შეუდგა მუშაობას 17 დეკემბრიდან, როდესაც გადაყენებულ იქნა ე. წ. სტუდენტთა კავშირის გამგეობა მთავრობის ბრძანების შეუსრულებლობისა და მრ. სხვ. მიზეზების გამო, რომლების აღნუსხვას აქ არ შეუდგებით.

სტუდენტთა საბჭოს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. მან მიიღო ძველი გამგეობიდან ცარიელი სალარო და სამოცი მილიონი მანეთი ვალით და დახურვის კარამდე მიყვანილი სასადილო, რომელსაც უნდა ესაზრდოებია რამდენიმე ასეული სტუდენტი.

საბჭო იმ დახმარებასაც ვერ ღებულობდა მთავრობიდან (ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო), რომელსაც ღებულობდა წინედ გამგეობა. დიდი შრომა დაიხარჯა, რომ სასურსათო კომისარიატიდან საბჭოს მიეღო სისტემატიურად საჭირო სურსათ-სანოვაგე.

დიახ ძნელი იყო პირობები, და საბჭომაც გამოითხოვა მთავრობიდან გრძელვადიანი უპროცენტო სესხი, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო.

დახლოვებით 4 თვის წინედ მთავრობამ გახსნა საბჭოს კრედიტი ექვსასი მილიონი მანეთის რუსული ბონებით; აღნიშნული თანხა მიიღო სტ—თა საბჭოს ე. წ. ფინანსიურ-ეკონომიურ კომისიამ (ამხ. ბახტაძე და ხოჯაიანი), რომელმაც ამ თანხით მოახდინა ორი ოპერაცია, რომლების შესახებ რაიმეც არა სასიამოვნო ხმები დადის საზოგადოებაში და განსაკუთრებით სტ—თა მასაში.

რამდენადაც ვიცი პირველი ოპერაციის შესახებ ამხ. ბახტაძემ გააკეთა საბჭოში მოხსენება, რომ ექვსასი მილიონი მანეთი რუსული ბონებით გადახურდავებულ იქნა 65.000.000 ქართულ ბონებზე და ამას გარდა პირველ ოპერაციამ დასტოვა 45 000,000 მან, (ქართული ბონებით), რაც სულ შეადგენს ას ათ მილიონ მანეთს ქართული ბონებით. არსებული ხმების მიხედვით კი ექვსასი მილიონი რუსული ბონები გადახურდავებულ იქნა არა სამოცდა ხუთ მილიონ ქართულ ბონებზე არამედ ოთხმოცდა ათ მილიონზე მოგება იყო არა ორმო და ხუთი მილიონი მანეთი, არამედ სამოცი მილიონი ე. ი. სხვაობა შეადგენს ორმოც მილიონ მანეთს ჯერჯერობით ძნელია თქმა იმის შესახებ რამდენად შეეფერება ეს ხმები სინამდვილეს, მაგრამ ერთი კია რომ ამას ადასტურებს კონტრაგენტი ჩხენკელი, რომელიც ფაქტიურად აწარმოებდა ოპერაციას ბახტაძისა ნ. გვაზავას თანხლებით (ეს უკანასკნელი სტ—თა სასადილოს გამგეთ ითვლება) და რომელსაც რაღაც ამის შესახებ წერილობითი საბუთებიც ჰქონია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ხმები ოც დღეზე მეტია რაც არსებობს, საბჭოს არ დაუნახავს საჭიროდ მათი ცხადყოფა ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც მისი მოქმედება ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს! აბა რას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ დღემდი საბჭოს არ მოუხდენია იმის გამოკვლევა, რამდენად შეეფერება სიმართლეს ჩხენკელის მიერ დადასტურებული ხმები.*)

დღეს, როგორც ვიცით, რევიზიას აწარმოებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია. მოველოთ რევიზია სასწრაფოდ ჩატარდეს, რათა ყველაფერი სინათლეზე იქნეს გამოტანილი და დამნაშავენი პასუხისგებაში მიცემული, თუ ასეთები არიან.

მეთვალყურე.

---

*) საბჭოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტიის ფრაქციამ წინადადება შეიტანა საბჭოში დაუყონებლივ რევიზიის მოხდენის შესახებ, რომებულ იქნა.

რედ.

ახალი ამბავი

— ამ დღეებში დაიხურა სტუდენტთა კინო Ars-ი, რადგან კონტრაგენტმა დაარღვია ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მას გადახდა სტ—თა საბჭოს სასარგებლოთ ოცი მილიონი მანეთი.

— თანახმად ა. კ. რკინის გზის უფროსის განკარგულებისა, ყველა სტუდენტს უფლება ეძლევა შეღავათიანი მგზავრობისა (50 პროც.). შესაფერ მოწმობებს იძლევა სტ—თა საბჭო.

— სტ—თა საბჭომ აგრონომ სტუდენტ სამეცნიერო წრის სასარგებლოდ გადასდო 5.000.000 მანეთი.

შეცდომის გასწორება

ახალგაზრდათა ხმის“ № 13-ში მოთავსებული წერილი „ახალი ეროვნული გმირები“. ეკუთვნის ამხ. გრ. ასათიანს.

სალამი „ახალგაზრდათა ხმას“

წავიკითხე გაზეთი „ტრიბუნის“ № 180, სადაც მოთავსებულია მეოთხე გვერდზე ჩვენი ახალგაზრდათა ორგანო „ახალგაზრდათა ხმა“, რომელმაც ძლიერ გამახარა.

მან კვლავ მომაგონა საქართველოს ტურფა ბაღი, თვალ-მარგალიტი, კარი ევროპის კულტურისა, სწავლა-განათლებისა — ბათომი, სადაც ვიცხოვრე რვა წელი (1910—1918 წ.წ.) და გავატარე საუკეთესო დღეები.

ბათომში ყოფნის დროს ჩემი საუკეთესო ამხანაგები იყვნენ ბათომის ყოფილ გიმნაზიის მოწაფეები: გ. მიქაძე, ი. გ. ფერაძეები, გ. ხეჩინაშვილი, გ. ლომინაძე, ჯგუშია, ი. სიხარულიძე, ჩხიკვაძე და სხ.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ბათომის ვაჟთა გიმნაზიაში ჩვენი სამშობლო ქართული ენა მკვიდრ ნიადაგზე არ იყო დაყენებული, იყო მიგდებული, ზედმეტ საგნად ითვლებოდა და ბევრი ქართველი მოწაფე ასრულებდა გიმნაზიას და სამშობლო დედა-ენა კი ძლიერ ნაკლებად იცოდა.

იყო დრო, როდესაც რუსეთის მეფის ჯალათები ჩვენს სამშობლო ენაზე ნებას არ გვაძლევდნენ, რომ სასწავლებლებში ჩვენთვის გასაგებ დედა-ენაზე გველაპარაკნა და ასე ძალით გვაყენებდნენ გადაგვარების გზას.

ჩვენდა სასიხარულოდ, ბათომის გიმნაზიაში იყვნენ ისეთი მოწაფეებიც, რომლებიც თავიანთი პირადი მეცადინეობით და მშობლების დახმარებით სამშობლო დედა-ენას, ჩვენს დიდებულს წარსულ კულტურას ეწაფებოდნენ და საფუძვლიანად სწავლობდნენ.

აი ეს ერთი ნაწილი ყოფ. ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებისა, ეს ახალგაზრდული აღტაცებით, ჯანღონით და ენერგიით სავსე იმ თავითვე იყვნენ გამსჭვალულნი სამშობლოს სიყვარულით და ქართველი ერის კეთილდღეობით.

ამ ერთმა ჯგუფმა მოწაფეებისამ 1915 წელს (წელი სწორედ არ მახსოვს) რათა თავიანთ ჩამორჩენილ და გადაგვარებულ გზაზე დამდგარი ამხანაგებისათვის ეშველათ და დაებრუნებინათ გადაგვარების გზიდან, განიზრახეს გიმნაზიაში ჩუმად, არა ლეგალურად ჟურნალის გამოცემა და კიდეც გამოსცეს, მიუხედავად იმ დროინდელ რუსის ცარიზმის სასტიკ სულშემხუთავ რეჟიმისა და ასე ჩუმად ხელიდან ხელში ავრცელებდნენ ამ აღნიშნულ ჟურნალს. ჟურნალი იყო ხელთნაწერი და კარგი შინაარსიანი. ამ ჟურნალით ჩვენს ჩამორჩენილ და გადაგვარებულ მოწაფეებს თვალებზე ჩამოფარებულ ფარდას ჰხდიდა, აცნობდა ჩვენს დიდებულ წარსულს: „რანი ვიყავით და რა ვართ დღეს“... და უმარტავდა, რომ გადაგვარებულ გზაზე დამდგარი ადამიანი არავის ღირსეულად არ გამოადგება, ვერც სამშობლოს და ვერც სახელმწიფოს...

ამ აღნიშნულ ჟურნალის წაკითხვა მეც მხვდა წილად.

1917 წ. დაეცა თუ არა რუსეთის მეფის ტახტი, იმ დღეებშივე მოწაფეებმა მოაწყეს თავიანთი კომიტეტი, რომელიც სასტიკ კრიტიკას უწევდა და კრიჭაში უდგა იმ დროინდელ მასწავლებელთა საბჭოს.

ჩვენ ქართველ ახალგაზრდობას, უფრო კი მოწაფე სტუდენტებს, როგორც შეგნებულ ნაწილს ჩვენი მრავალ ტანჯულ სამშობლოს აღდგენის, განმტკიცების და აყვავებისათვის და ქართველი ერის საკეთილდღეოდ აუწერელი ღვაწლი და და თავის დადება მიუძღვის

აგრეთვე მრავალმა ქართველმა ახალგაზრდობამ თავისი უმანკო სისხლით შეღება უცხო მხარე, რუსეთის დაბა-ქალაქები: პეტროგრადი, მოსკოვი, ოდესა და სხ.

ქართველ ხალხს უყვარს თავისუფლება, იგი თავისუფლების მოყვარე ხალხია. ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკ. საქართველოს უპირველესი მნათობის შოთა რუსთაველის პირით ამცნო მან მსოფლიოს ეს მცნება: „თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასაო“. ქართველ ხალხს უყვარს აგრეთვე თავისი პატარა, მაგრამ ლამაზი, თვალწარმტაცი სამშობლო და მუდამ მზადაა თავისი თავი შესწიროს მას. მან იცის, რომ როგორც მშობელი დედა ერთია, ისე სამშობლოც ერთია.

მე ღრმად მწამს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა (შეგნებული ახალგაზრდობა) თავის უფროს ძმებთან ერთად სამშობლოს გაჭირვების დროს კვლავ დადგება თავის სადარაჯოზე და პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს და მშრომელი ხალხის წინაშე.

მესხური სალამი ჩვენს მომავალ თაობას, მშრომელი მასსის ჩირაღდანს, შეგნებულ ახალგაზრდობას, მემარცხენე სოც.-ფედერალისტებს და მათ ორგანოს „ახალგაზრდათა ხმას“...

მესხი პავლე გურგენიძე

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

დავკარგე ნებართვა სასადილოსი, (ლეკიბის შესახვევი, 6) იოსებ სიმონის ძე აჯი-მამედოვის სახელზე
ჩაითვალოს გაუქმებულად. 268

„ახალგაზრდათა ხმა“
გამოდის ხუთშაბათობით
წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით—ტფილისი
„ტრიბუნის“ რედაქცია, სასახლის ქ. № 6.
მასალები ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი, აგრეთვე ზედ
უნდა იყოს წარწერა „ახალგაზრდათა ხმისათვის“.

ტირაჟი 700

საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.

ნ. დ. ს. ც.